GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 51
თარიღი: 25 02 2019 წ.

GRASS FACTCHECK

თბილისის საქალაქო სასამართლოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის N 1-0434/4274 და ასევე, 2019 წლის 20 თებერვლის N3-0416/2855984 წერილების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხდება ჩვენ მიერ მოთხოვნილი შემდეგი სახის ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება:

1. 2003-2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული გირაოს საერთო ოდენობა;
2. 2003-2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული ჯარიმების საერთო ოდენობა;
3. 2007-2018 წლებში „სითი პარკის" რამდენი ჯარიმა გასაჩივრდა, მათგან რამდენი დაკმაყოფილდა;
4. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოპერირებიდან დღემდე, რამდენი ჯარიმა გასაჩივრდა და მათგან რამდენი დაკმაყოფილდა;
5. 2003-2018 წლებში პოლიციის რამდენი ჯარიმა გასაჩივრდა და რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა საჩივარი.

მოგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა საქმიანობის ანგარიში, რომელიც მოიცავს 2013 წლის ივნისისა და 2017 წლის მაისის პერიოდში. აღნიშნულ ანგარიშში, ვხვდებით შემდეგი სახის მონაცემებს:

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოში 94%-ით შემცირებულია აღკვეთის ღონისძიების სახედ მოთხოვნილი გირაოს თანხის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი. 2009-2012 წლებში **თბილისის საქალაქო სასამართლოში სრულად დაკმაყოფილებული გირაოს საერთო ოდენობა 91,412,521 ლარს, ხოლო 2013-16 წლებში 5,266,000 ლარს შეადგენს.** შესაბამისად, სახეზეა 94%-იანი კლება. მეტიც, შედარებისთვის 2011 წელს გირაოს ოდენობა შეადგენდა 30,990,000 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს გირაოს მაჩვენებელმა 611,500 ლარი შეადგინა". აქვე, მოყვანილია ცხრილი, სადაც 2009-16 წლებში (წლების მიხედვით ცალ-ცალკე) გირაოს ოდენობებია წარმოდგენილი (იხ: 13-14 გვ).
2. „თბილისის საქალაქო სასამართლოში 79%-ით შემცირებულია სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის ოდენობა. **თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009-12 წლებში გამოყენებული ჯარიმის საერთო ოდენობა 229,389,566 ლარს შეადგენდა, ხოლო 2013-16 წლებში 48,707,767 ლარს.** შესაბამისად, სახეზეა 79%-ანი კლება. შედარებისთვის, 2011 წელს გამოყენებული ჯარიმის ოდენობა შეადგენდა 91,671,309 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს ჯარიმის მაჩვენებელი 12,318,215 ლარი იყო. ამ შემთხვევაშიც, კლების ტენდენცია შეიმჩნევა". აქვე, ცხრილის სახით წარმოდგენილია 2009-16 წლებში, წლების მიხედვით ცალ-ცალკე, დაკისრებული ჯარიმების ოდენობა (იხ: 14-15 გვ).

3. „გაიზარდა პოლიციისა და „სითი პარკის“ გასაჩივრებული ჯარიმების დაკმაყოფილების სტატისტიკაც. 2016 წელს სასამართლომ 44-ჯერ მეტი, (1 229) საჩივარი განიხილა, ვიდრე 2011 წელს (28). მათგან დაკმაყოფილდა საჩივრების 51,8%. შედარებისთვის 2011 წელს საჩივრების სიმცირის მიუხედავად დაკმაყოფილდა მხოლოდ 11%“ (იხ: გვ.17).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშის გაცნობის შემდეგ, გვიჩნდება გონივრული მოლოდინი, რომ აღნიშნული მონაცემები თბილისის საქალაქო სასამართლოს უნდა გააჩნდეს. თუკი, ამ სახის მონაცემების მხოლოდ ერთჯერადად დამუშავება მოხდა და მხოლოდ ამ პერიოდს მოიცავდა, მაშინ თქვენი პასუხი როგორც მინიმუმ, სწორედ აღნიშნული მონაცემებს მაინც უნდა მოიცავდეს.

გთხოვთ, ხელახლა განიხილოთ ჩვენი წერილები, მოგვაწოდოთ მათზე სათანადო ინფორმაცია და იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი პასუხი უცვლელია (თბილისის საქალაქო სასამართლო არ ამუშავებს ამ მონცემებს), გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიში.

პატივისცემით,

დავით ქუტიმე

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. #75გ
საკონტაქტო პირი:

თამარ ქეცბაია
მობ: 599 277 211
e-mail: t.ketsbaia@factcheck.ge